2301/2-7/24 2 27032024

2301/2-7/24
27-03-2024

მოქალაქე ლიზი გოგოლაძეს

(ელექტრონული ფოსტის მისამართი: foi+request-2968-c[redacted])

ქალბატონო ლიზი,

თქვენი №1-2998/24 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო აქტიურად მუშაობს, როგორც გენდერული თანასწორობის კუთხით პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის, აგრეთვე ცნობიერების ამაღლების და ქალების გაძლიერების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საქართველო შეუერთდა გლობალურ მოძრაობას – თაობათა თანასწორობის ფორუმს (GEF) და აიღო ახალი ვალდებულებები გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ტექნოლოგია და ინოვაცია გენდერული თანასწორობისთვის. აღნიშნული მიმართულების ძირითად საკითხს წარმოადგენს ქალებისა და გოგოების გაძლიერება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში, რაც ემსახურება ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც ინდივიდები თანაბარი შესაძლებლობებით ისარგებლებენ. აღნიშნული მიზნის მიღწევა წარმოუდგენელია ყველა საჭირო ინსტრუმენტის გამოყენების გარეშე, მათ შორის, კიბერ სივრცეში ქალების უფლებების დაცვის უზრუნველყოფისა და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის გარეშე. ამ მიმართულებით, კერძოდ, Generation Equality Forum-ის ფარგლებში აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით, საბჭო აქტიურად მუშაობს ქალების გაძლიერებასა და უსაფრთხოებაზე ტექნოლოგიების სფეროში.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მნიშვნელოვანი ამოცანაა ასევე ქალთა პოლიტიკური გაძლიერება, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს სწორედ კიბერძალადობისგან დაცვა, ვინაიდან სოციალურ ქსელებში ხშირია პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ აგრესია, სიძულვილის ენის შემცველი/დამცინავი კონტენტის გავრცელება, მუქარა, რაც კიბერბულინგის ფორმას წარმოადგენს. აგრეთვე პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელება, რაც სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭო პერმანენტულად ითხოვს სტატისტიკურ მონაცემებს კომპეტენტური უწყებებისგან, ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას და განსაზღვრავს საჭირო მექანიზმებს აღნიშნული შემთხვევების აღმოსაფხვრელად.

გენდერული თანასწორობის საბჭო არსებული რეალობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გენდერული ძალადობის ამ ფორმას, ვინაიდან მისი გამოვლინებები საკმაოდ ხშირი, შედეგები კი ხშირ შემთხვევაში ძალიან მძიმეა. აღნიშნულთან დაკავშირებით 2023 წლის ნოემბერში საბჭომ ჩაატარა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი კამპანია, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა კიბერძლადობა და კიბერბულინგი. კამპანიის ფარგლებში საბჭომ აღნიშნულ თემაზე სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან არაერთი შეხვედრა ჩაატარა ცნობიერების გაზრდის მიზნით, როგორც დედაქალაქში, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. ასევე,

გასული წლის დეკემბერში საერთაშორისო ორგანიზაცია „Mercy Corps“-თან ერთად, რომლის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ტექნოლოგიები, ჩაატარა შეხვედრები სხვადასხვა სკოლების უფროსი კლასის მოსწავლეებთან თემაზე – „ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ძალადობა გენდერული ნიშნით“. აღნიშნული შეხვედრები იყო ინტერაქტიული და ცნობიერების ამაღლებასთან ერთად ემსახურებოდა კონკრეტული მექანიზმების შესწავლას, თუ როგორ უნდა ამოიცნონ კიბერ სივრცეში ძალადობა და დაიცვან თავი მისგან.

პატივისცემით,
საორგანიზაციო

დეპარტამენტის უფროსი
ეთერ სვიანაიძე

ე. სვიანაიძე